

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენება პაროდის შექმნის მიზნით

I. შესავალი

შემოქმედებითი საქმიანობისთვის საავტორო სამართალს უდიდესი როლი აქვს. ავტორთა უფლებების დაცვა და საზოგადოების მიერ მათი ნაწარმოებების გამოყენება ქვეყნის კულტურულ განვითარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, აუცილებელია, საკანონმდებლო ბალანსის შექმნა, რათა ნაწარმოებების გამოყენებით, ერთი მხრივ, არ დაირღვეს ავტორთა ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებები და მეორე მხრივ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა საავტორო სამართლის საერთაშორისო დონეზე მონესრიგების მნიშვნელობა და აუცილებლობა, საავტორო უფლებების უნივერსალური პრინციპები მონესრიგებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით¹, თუმცა საავტორო უფლებების სამართლებრივი ტრადიციები ძირითადად ორი მოდელის – ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით იყოფა და შესაბამისად, განსხვავება ეროვნული კანონმდებლობების მიერ დადგენილ ინსტიტუტებშია. კერძო სამართლის სისტემის ქვეყნებ-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი. orcid.org/0000-0003-2012-2286.

¹ გაბუნია დ., თაქთაქიშვილი გ., საერთაშორისო საავტორო სამართალი, ანალიზი და კომენტარები, წიგნი I, თბილისი, 2016, 10-21.

ში მოქმედებს ე.წ. „გამონაკლისებისა და შეზღუდვების“ პრინციპი, ხოლო საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში – „Fair Use/Fair Dealing“ – კეთილსინდისიერი გამოყენების სტანდარტი.

ნაშრომში განხილული იქნება საავტორო უფლებით დაცული ობიექტის პაროდის მიზნით გამოყენების შემთხვევები გერმანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლოთა მიერ დადგენილი პრეცედენტების მაგალითზე. ასევე, განხილული იქნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სატელევიზიო გადაცემის პაროდის მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით.

II. პაროდის განმარტება და მისი საკანონმდებლო მონესრიგება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნების მიხედვით

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რა არის პაროდია. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „პაროდია (პაროდისა) [ბერძ. *parōdia*: *para* - უკუ, წინააღმდეგ, *ōdē* – სიმღერა] არის ა). სატირული ნაწარმოები, რომელშიც ხუმრობით, დაცინვით ბაძავენ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს, ამ უკანასკნელის გარეგანი ფორმისა და ტონის დაცვით; ბ) გადატანითი მნიშვნელობით გარეგნულად მიმსგავსებული, მაგრამ არსებითად დამახინჯებული მიბაძვა, რომელიც სასაცილო, კარიკატურულ სახეს ატარებს“².

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უტოვებს უფლებას, დაუშვას ნაწარმოების რეპროდუცირება, მაგრამ რეპროდუცირება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, არ უნდა აყენებდეს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს ავტო-

² ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, <<http://ena.ge/explanatory-online>> [25.04.2022]

რის კანონიერ ინტერესებს.³ ევროკავშირის საავტორო უფლებათა დირექტივის მიხედვით კი, პაროდია მიჩნეულია გამონაკლისად, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებისათვის არჩევითია ამ გამონაკლისის დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში⁴.

საინტერესოა გერმანიის, როგორც მოდელური ქვეყნის, მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი. გერმანიის საავტორო უფლებათა კანონში არ არის განერილი ზოგადი, „კეთილსინდისიერი გამოყენების“ (fair use) პირობები, ასევე გერმანიის კანონმდებლობით არ არსებობს კონკრეტული გამონაკლისი ნაწარმოების პაროდის შექმნასთან დაკავშირებით. დავის შემთხვევაში სასამართლოები მიუთითებენ კონსტიტუციით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაზე, როგორც პაროდის შექმნის სამართლებრივ წინაპირობაზე.⁵ გერმანიის საავტორო უფლებათა კანონმდებლობაში არის 2 ძირითადი ჩანაწერი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პაროდის სამართლებრივი ანალიზისას: ა) „თავისუფალი გამოყენება“⁶ და ბ) „ციტირების მიზნით ნაწარმოების გამოყენება“⁷. თუმცა, ამ მუხლების მოხმობისას, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს ორიგინალი ნაწარმოების გამოყენების ფარგლები და შეადაროს პაროდისას. ასევე, როდესაც ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების გარკვეულ შემთხვევებზეა საუბარი, საქმე უნდა გადაწყდეს ბერნის კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, სამსაფეხურიანი ტესტის დახმარებით, რაც გულისხმობს შემდეგს: 1. ნაწარმოები კანონიერად უკვე გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი; 2. შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან; 3. მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით.

³ ბერნის კონვენცია „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ“, 1886, მუხლი 9(2).

⁴ Copyright Directive (2001/29/EC) Article 5(3)(k).

⁵ The Cambridge Handbook of Copyright limitations and Exceptions, Edited by Sh. Balganes, Ng-Loy W. Loon, H. Sun, Cambridge University Press, 2021.

⁶ 24-ე მუხლი

⁷ 51-ე მუხლი

სასამართლო პრეცედენტებმა ერთგვარი პრაქტიკა, მიმართულება განსაზღვრეს. მაგალითად, „დისნეის“ სასამართლო საქმის შემთხვევაში⁸, სადაც გერმანელმა კარიკატურისტმა შექმნა ვოლტ დისნეის ხსოვნისადმი მიძღვნილი კომიქსების კრებული, გამოიყენა დისნეის პერსონაჟების 31 სურათი, მათ შორის, მიკი მაუსი, დონალდ დაკი და სხვ. გერმანიის სასამართლოს განმარტებით, გადამუშავებული ნაწარმოები პაროდიად რომ განიხილებოდეს, ორიგინალ ნაწარმოებთან იგივე თემატური კავშირი არ უნდა იკვეთებოდეს. ასეთი არათემატური ბმა ობიექტურად აღქმადი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული კომიქსების კრებული „არათემატურ კონტექსტს“ ვერ აკმაყოფილებდა და სცდებოდა პაროდიის მიზანს, რათა განხილულიყო მისი თავისუფალი გამოყენების კანონიერება გერმანიის საავტორო უფლებათა კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად. გერმანიის მკაცრი მიდგომა პაროდიის განსაზღვრებისას ასევე იკვეთება „მოცინარი მზის“ საქმეზე გადაწყვეტილებაში, სადაც ფრანკფურტის რეგიონულმა სასამართლომ ანტიბირთვული აქტივისტების ლოგოს ტექსტის – „ბირთვული ენერგია – არა, მადლობა!“ შეცვლა, როგორც „დემოკრატია – არა, მადლობა!“, არ მიიჩნია არათემატურ კონტექსტად და შესაბამისად, არ ჩათვალა პაროდიად.⁹

საინტერესოა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (ECJ) წინასწარი განმარტება საქმეზე – „დეკმინი ვანდერსტინის წინააღმდეგ“. 2011 წელს, წინასაახალწლოდ, ბელგიურ-ფლამანდიურმა ნაციონალისტურმა პოლიტიკურმა პარტიამ დაამზადა კალენდარი, რომლის ყდაზეც გამოიყენა ცნობილი კომიქსის – „სპაიკის და სუზის“ – მნიშვნელოვანი ელემენტები. ყდაზე გამოსახული ფიგურა ჰგავდა ქალაქ გენტის იმდროინდელ მერს – დანიელ ტერმონტს,

⁸ Bundesgerichtshof [BGH] [Federal Court of Justice] March 26, 1971, Neue Juristische Wochenschrift [NJW] 2169, 1971 (Ger.).

⁹ Landgericht Frankfurt am Main [LG Frankfurt a. M.] [Regional Court of Frankfurt] July 23, 1981, 94 Archiv für Medienrecht und Medienwissenschaft [UFITA] 334, 1982 (Ger.).

ნარწერით: „ველური ქველმოქმედი“, რომელიც ფულს ურიგებდა ჩალმებსა და თავსაბურავებში გამოწყობილ მუქქანიანთა ჯგუფს. „სპაიკისა და სუზის“ შემქმნელის, ვილი ვანდერსტინის სამართალმემკვიდრეებმა საავტორო უფლების დარღვევისათვის ბელგიის პირველი ინსტანციის სასამართლოში უჩივლეს იოჰან დეკმინს და სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს არ იყო პაროდია, საქმე გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დაადასტურა რომ ბელგიის საავტორო უფლებათა კანონმდებლობაში მოხდა ევროკავშირის დირექტივის¹⁰ იმპლემენტაცია პაროდიის ნაწილში და ასევე მიუთითა – ბელგიის კანონმდებლობით, პაროდიის შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს იმ კონცეფციით, რომლის მატარებელიცაა აღნიშნული დირექტივა, ამიტომ, შეკითხვით მიმართა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს. კითხვაში აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე: 1. არის თუ არა „პაროდიის“ ცნება ავტონომიური ევროკავშირის სამართალში? 2. პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, პაროდია უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა შემდეგ მახასიათებლებს: იყოს ორიგინალური, მოხდეს პაროდიის ხასიათის ისე ჩვენება, რომ არ იწვევდეს ორიგინალ ნაწარმოებში აღრევის შესაძლებლობას, იყოს იუმორისტული ან დაცინვისათვის გამიზნული, მოხდეს გამოყენებულ წყაროზე მითითება? 3. გადამუშავებული ნაწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა სხვა რაიმე პირობებს, რათა მოხდეს მისი პაროდიად აღქმა?¹¹

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პაროდია ნამდვილად ავტონომიური კონცეფციაა და ასევე განმარტა მისი მახასიათებლები: უპირველეს ყოვლისა, ეს არის არსებული ნაწარმოების ერთგვარი გამოწვევა და ის უნდა განსხვავდებოდეს ორიგინალისაგან, ასევე უნდა იყოს იუმორისტული, დაცინვისაკენ მიმართული. ლუქსემბურგმა მიუთითა სამართლიან

¹⁰ Directive 2001/29/EC of the European Parliament and of the Council.

¹¹ “Deckmyn v. Vandersteen” Reference for a preliminary ruling – Directive 2001/29/EC – Copyright and related rights – Reproduction right – Exceptions and limitations – Concept of “parody” – Autonomous concept of EU law”.

ბალანსზე საავტორო უფლების მფლობელსა და ადამიანის კონსტიტუციით განმტკიცებულ გამოხატვის თავისუფლებას შორის. აღნიშნული ბალანსი თითოეული შემთხვევის განხილვისას უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად. ამ კონკრეტულ საქმეზე კი ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ იმსჯელა იმ დისკრიმინაციულ მესიჯებზე, რომლებიც გადამუშავებულ ნაწარმოებში ჩანდა და ვანდერსტინს ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა, რათა არ ყოფილიყო მსგავს დისკრიმინაციულ მესიჯებთან ასოცირებული. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ეროვნულ სასამართლოებს მიანდო გადასაწყვეტად საკითხი, გამოიწვევდა თუ არა პაროდიად გადამუშავებული ნაწარმოები ორიგინალი ნაწარმოების ასოციაციურ დაკავშირებას დისკრიმინაციულ გზავნილებთან.¹²

საინტერესოა საფრანგეთის მიდგომა პაროდიასთან დაკავშირებით, რადგან საფრანგეთში აქტიურად გამოიყენება ნაწარმოების პაროდიული გადამუშავება და ასევე, ფრანგული კანონმდებლობა მკაცრად უდგება ავტორის მორალური უფლების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ „დეკმინის“ სასამართლო შემთხვევით განისაზღვრა პაროდიის გამოყენება,¹³ როგორც ავტონომიური კონცეპტი ევროკავშირსა და საფრანგეთის საავტორო უფლებათა სამართალში, პაროდია მიჩნეულია გამონაკლისად, ერთგვაროვანი განმარტება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მაინც არ არსებობს. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა შემდეგი მიდგომა: 1. ნაწარმოების გამოყენება არ უნდა ლახავდეს ავტორის მორალურ უფლებას ორიგინალ ნაწარმოებთან მიმართებით; 2. აუცილებელია, თავისუფალ გამოყენებასა და ავტორის პერსონალურ უფლებებს შორის ბალანსის დაცვა; 3. უნდა განისაზღვროს ნაწარმოების გამოყენების

¹² იხ., Johan Deckmyn and Vrijheidsfonds VZW v Helena Vandersteen and Others [EUCJ], C 201/13, 3 September 2014.

¹³ Burrell R., The Changing Judicial Politics of Copyright Exceptions in the UK, in: The Cambridge Handbook of Copyright limitations and Exceptions, Edited by Sh. Balganes, Ng-Loy W. Loon, H. Sun, Cambridge University Press, 2021, 166-168

მიზანი, რომელიც ემსახურება სიცილის გამოწვევას და არა ავტორის პერსონის დაცინვას, განსაკუთრებით სატირასთან დაკავშირებით ფრანგების გამოცდილების გათვალისწინებით.¹⁴

ევროკონვენცია მე-10 მუხლში განამტკიცებს გამოხატვის თავისუფლებას, რომლის შეზღუდვაც საჭიროებს ლეგიტიმურ მიზანს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სახვით ხელოვანთა ასოციაცია ავსტრიის წინააღმდეგ“, სადაც ავტორიელმა მხატვარმა, ოტო მიულმა გამოფენისათვის შექმნა ნამუშევარი სახელწოდებით – „აპოკალიფსი“, იმსჯელა პაროდის, როგორც გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ ფორმაზე. მიულის ნამუშევარში გამოყენებული იყო 34 საზოგადო მოღვაწის სურათიდან ამოჭრილი სახე, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილი მხატვრის მიერ შესრულებული იყო კარიკატურული, სექსუალური შინაარსით. მათ შორის იყვნენ დედა ტერეზა, ავსტრიის თავისუფლების პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი, ავტორიელი კარდინალი, ეროვნული კრების მოქმედი წევრი, ბატონი მაიშბერგერი და სხვა პოლიტიკური ფიგურები. მაიშბერგერმა სარჩელი აღძრა მიულის წინააღმდეგ და მოითხოვა ნახატის ყველა გამოფენაზე აკრძალვა. ვენის კომერციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ნახატი იყო კარიკატურა და მას არანაირი კავშირი არ ქონდა სინამდვილესთან. სასამართლომ ასევე იმსჯელა მხატვრის შემოქმედებით, გამოხატვის თავისუფლებასა და მაიშბერგერის პირად ინტერესთა ბალანსს შორის თანაფარდობაზე და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში პირველი გადაწონის მეორეს. აგრეთვე გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ გამოფენის მეორე დღეს ვიზიტორმა აღნიშნულ ნახატს წითელი საღებავი შეასხა და მაიშბერგერის იდენტიფიცირება ამით კიდევ უფრო გაართულდა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ნახატი არ იყო კრიტიკა, პირიქით, მიზანმიმართულად ამცირებდა

¹⁴ Giannopoulou A., Parody in France, <<https://www.communia-association.org/wp-content/uploads/2016/06/report-2-parody.pdf>> [25.04.2022]

მასზე გამოსახულ ადამიანებს და ამიტომ, სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს¹⁵. უმაღლესმა სასამართლომ საჩივარი არ განიხილა და ამიტომ, 2001 წლის 12 მარტს განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ ნახატის გამოფენის აკრძალვა არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს. 2007 წლის 25 აპრილს ევროსასამართლომ 4 ხმით 3-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება.¹⁶

III. პაროდია, როგორც კეთილსინდისიერი გამოყენება, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მაგალითზე

ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემა არ იძლევა იმ შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „კეთილსინდისიერ გამოყენებად“, მაშინ, როცა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოშიც მოქმედებს **Numerus Clausus** პრინციპი, ანუ უმეტეს შემთხვევაში კანონითაა განსაზღვრული უფლებათა შეზღუდვის ამომწურავი ჩამონათვალი.

აშშ-ის საავტორო უფლებათა აქტის 107-ე პარაგრაფი განმარტავს, რომ „...საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების სამართლიანი გამოყენება, მათ შორის, ასლების ან ფონოგრამის რეპროდუცირებით ან ამ სექციით განსაზღვრული სხვა საშუალებებით, ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა კრიტიკა, კომენტარი, ახალი ამბების გაშუქება, სწავლება (მათ შორის, მრავალჯერადი ასლი საკლასო ოთახში გამოყენებისთვის), სტიპენდია ან კვლევა არ არის

¹⁵ Jacques A., *The Parody Exception in Copyright Law*, Oxford University Press, 2019, 141-143, 144, 145.

¹⁶ *Vereinigung Bildender Künstler v. Austria* [ECtHR], App. No. 68354/01, 25 January 2007.

საავტორო უფლებების დარღვევა¹⁷. აღნიშნული მუხლი, როგორც აღინიშნა, ქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს არ იძლევა, კანონმდებელი დამატებით ითვალისწინებს 4 ძირითად ფაქტორს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ „კეთილსინდისიერი გამოყენების“ დადგენისას: 1. გამოყენების მიზანი და ხასიათი; 2. ნაწარმოების ბუნება; 3. საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენების ფარგლები; 4. მარკეტინგულ ბაზარზე ნაწარმოების ღირებულებაზე გავლენა.¹⁸

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „პაროდია“ ნახსენებიც კი არაა და ჩანაწერი არავითარ განმარტებას არ იძლევა, პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულია ერთგვარი მიდგომა, რომ პაროდია მოიაზრება „კეთილსინდისიერ გამოყენებად“. საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება „კემპბელი, ეიქაფ-როუზის წინააღმდეგ“¹⁹, სადაც განხილულია პაროდის, როგორც „კეთილსინდისიერი გამოყენების“ საკითხი. ამერიკული რეპ ჯგუფის “2 Live Crew” ნევრებმა დაწერეს სიმღერა „ლამაზი ქალი“, რომელიც იყო როი ორბისონის როკ ბალადის – „ო, მშვენიერო ქალბატონო“, პაროდია. ჯგუფის მენეჯერმა ნებართვისათვის მიმართა ეიქაფ-როუზის წარმომადგენელს, რათა ლიცენზია მიეღო აღნიშნული სიმღერის პაროდიად გადამუშავებისათვის, თუმცა უშედეგოდ. ეს არ ყოფილა მათთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი და სიმღერა მაინც გამოუშვეს. 1 წლის შემდეგ, როცა ალბომის მილიონამდე ასლი გაიყიდა, ეიქაფ-როუზმა საავტორო უფლების დარღვევისათვის უჩივლა კემპბელს. საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ქმედება „კეთილსინდისიერ გამოყენებად“ ჩათვალა და მიიჩნია პაროდიად, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ეიქაფ-როუზის სასარგებლოდ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და განმარტა, რომ სიმღე-

¹⁷ Copyright Act, US, 1976, Art. 107.

¹⁸ Fisher III W., Copyright X Lecture Transcripts, Harvard Law School, 2017, 226-241.

¹⁹ Campbell v. Acuff-Rose Music, Inc., 510 U.S. 569 (1994.)

რის სწორედ ის ნაწილი იყო გამოყენებული, რომელიც მთავარი, წამყვანი მელოდია იყო და შესაბამისად, საავტორო უფლების დარღვევა დაირღვა.²⁰

ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ სწორედ იმ ფაქტორებზე გაამახვილა ყურადღება, რომ პაროდიად გადამუშავებული ნაწარმოები უნდა იყოს ორიგინალ ნაწარმოებზე პასუხი, მოსაზრება ან კრიტიკა, მას უნდა უცვლიდეს მნიშვნელობას ან მიზანს, ხოლო სად გადის ზღვარი პაროდიასა და კოპირებას შორის, ეს უკვე კონკრეტულ შემთხვევებში უნდა დადგინდეს, ნაწარმოების გამოყენების მიზნობრივობიდან გამომდინარე.²¹ საბოლოო ჯამში, საქმე მორიგებით დასრულდა²².

პროფესიონალმა ფოტოგრაფმა პატრიკ კარიომ გამოსცა წიგნი, რომელიც აერთიანებდა პორტრეტებსა და პეიზაჟებს სათაურით – **“Yes Rasta”**. ხელოვანმა რიჩარდ პრინცმა კარიოს რამდენიმე ნამუშევარს მოდიფიცირება გაუკეთა, ჩართო თავისი ელემენტები და გააკეთა კოლაჟი სახელწოდებით – **“Canal Zone”**. კარიომ საავტორო უფლებების დარღვევისათვის იჩივლა. პირველმა ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ეს არ იყო „კეთილსინდისიერი გამოყენება“, რადგან იგი არ იყო ორიგინალი ნაწარმოების კრიტიკა ან კომენტარი. სააპელაციო სასამართლომ კი გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ტრანსფორმაციულობის კრიტერიუმზე გააკეთა აქცენტი. საკმარისად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ნაწარმოების კარიკატურულად გადამუშავება ემსახურებოდა სრულიად განსხვავებული იდეის გავრცელებას და მიზნად არ ისახავდა ორიგინალი ნაწარმოების კრიტიკას.²³

²⁰ Amy L., *The Right to Parody (Comparative Analysis of Copyright and Free Speech)*, *The Parody/Satire Dichotomy in American Law*, Cambridge University Press, 2019, 57-70.

²¹ *Campbell v. Acuff-Rose Music, Inc.*, 510 U.S. 569 (1994.)

²² Guan W., *The Origin of Copyright Expression as Knowing in Being and Copyright Onto-Epistemology*, New York, 2021, 20-24

²³ იხ., *Cariou v. Prince*, 714 F.3d 694 (2nd Cir. 2013), 2013 WL 1760521.

IV. პაროდიის მიზნით საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენება საქართველოში

პაროდიისა და კარიკატურის „კეთილსინდისიერი გამოყენების“ შესახებ დათქმას ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს²⁴, უფრო ჩაკეტილია და შესაბამისად, მარტივად პროგნოზირებადი, ნაკლებად იძლევა იმის საშუალებას, რომ სისტემა იყოს უფრო მოქნილი და მოსამართლეს შეეძლოს კონკრეტული სიტუაციისა და მოცემულობის მიხედვით გადაწყვიტოს დავა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საჩივრით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“. საჩივარში მითითებული იყო, რომ 2020 წლის 11 აგვისტოს შპს „ფორმულას“ ეთერში და ფეისბუქგვერდზე განთავსდა გადაცემა „ფსკერი“, რითაც შპს „ფორმულამ“ დაარღვია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ უფლებები და კანონიერი ინტერესები. სადავო გადაცემაში გამოყენებული იყო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ლოგო, ამავე მაუწყებლის გადაცემა „ახალი დღის“ ლოგო და ვიზუალური მხარე. „ფსკერის“ მსახიობები საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანებსა და ჟურნალისტებს განასახიერებდნენ და საქართველოს ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის წლების განმავლობაში გაცემულ მილიონობით ლარს მის წყალში გადაყრას აღარებდნენ და ამის სადემონსტრაციოდ ქართულ კუპიურებს ტბაში ყრიდნენ. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აღნიშნული ქმედება დარღვევად არ მიიჩნია და განმარტა:

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიზნებისა და ზოგადად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სულისკვეთებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების გამოყენების კონტექსტს. მაგალითად, ერთ-

²⁴ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი.

მანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შემთხვევები, როდესაც მაუწყებლის ან/და მისი გადაცემის ლოგოს მეორე მაუწყებელი იყენებს პაროდის, გაშარჟების, კრიტიკის, პოლემიკის, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნებისთვის, და შემთხვევები, როდესაც ლოგოს გამოყენება ხდება მისი პირველადი დანიშნულებით – ამავე მაუწყებლის ან მისი რომელიმე გადაცემის ამოსაცნობ, განმასხვავებელ ნიშნად. ნაწარმოებზე საავტორო უფლებას ზიანი არ ადგება მისი პაროდის, გაშარჟების, პოლემიკისა თუ კრიტიკის მიზნით გამოყენებისას. საავტორო უფლების პაროდული გამოყენებით ზიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც საავტორო უფლების მქონე სუბიექტს თავად ეზღუდება მისი სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობა ან ამით რაიმე ქონებრივ დანაკლისს განიცდის. თავის მხრივ, რომელიმე პაროდით ან სატირით პირისთვის არამართლზომიერი რეპუტაციული ზიანის მიყენება, ისევე როგორც ამ ფორმით არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, შესაძლებელია, სათანადო წინაპირობების არსებობისას დაექვემდებაროს სამოქალაქოსამართლებრივი ან კონკურენციის სამართლის ნორმების საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, თუმცა ეს კავშირში არ არის საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან.”²⁵

მიუხედავად იმისა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონში პაროდია არაა მოხსენიებული როგორც გამონაკლისი და არც ქართული სასამართლო პრაქტიკაა ჩამოყალიბებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თავად კანონის მე-2 მუხლი ითვალისწინებს დათქმას, რომ „თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები“. ამავდროულად,

²⁵ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 აგვისტოს №20-16/656 გადაწყვეტილება.

ასოცირების შეთანხმების 162-ე მუხლის მიხედვით, შესაძლოა და-
ნესდეს გამონაკლისები და შეზღუდვები იმ პირობით, რომ ასეთი
შეზღუდვები ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყე-
ნებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს უფლების მფლობელთა კანო-
ნიერ ინტერესებს²⁶.

კანონმდებლობის იმგვარი გაგება, რომელიც პაროდის, სატი-
რას სრულად გამორიცხავს ნაწარმოების „კეთილსინდისიერად გა-
მოყენების“ ჩამონათვალიდან, წინააღმდეგობაში მოდის ევროპული
კონვენციის მე-10 მუხლის მიზნებთან.²⁷

V. დასკვნა

„კეთილსინდისიერი გამოყენებისა“ და „გამონაკლისების/შე-
ზღუდვების“ ინსტიტუტების არსებობას საავტორო სამართალში
მნიშვნელოვანი როლი აქვს, რათა დაცულ იქნეს გამოხატვის თავი-
სუფლება და ხელი შეეწყოს ადამიანის შემოქმედებით განვითარე-
ბასა და საქმიანობას, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომი-
კურ წინსვლასთანაც²⁸. მიუხედავად იმისა, რომ ანგლოამერიკული
სამართლის სისტემის ქვეყნებში ავტორის არაქონებრივი (მორა-
ლური) უფლებები იმდენად მკაცრად დაცული არაა, როგორც კო-
ნტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში (ტერმინებიც
სწორედ ამაზე მეტყველებს „Copyright“ და „Authors' Right“²⁹) პა-
როდიას, როგორც ნაწარმოების „კეთილსინდისიერ გამოყენებას“,

²⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის
ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეო-
რე მხრივ, საქართველოს შორის, 27.06.2014.

²⁷ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 27
აგვისტოს №20-16/656 გადაწყვეტილება.

²⁸ Nimmer D., Security Measures and the Future of Fair Use, in: The Cambridge
Handbook of Copyright limitations and Exceptions, Edited by Sh. Balganes, H.
Ng-Loy W. Loon, H. Sun, Cambridge University Press, 2021, 413-419.

²⁹ SACD, Authors' Right vs. Copyright, 2018. <<https://bit.ly/3CIAdEs>>
[27.04.2022]

ორივე სისტემა დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით³⁰. მეტიც, პაროდია შეიძლება მიჩნეულ იქნას კრიტიკის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად და ამიტომაც გაშარ-ჟების მიზნით ავტორს მისსავე ორიგინალ ნაწარმოებზე ვინმემ თანხმობა სთხოვოს და ისიც დასთანხმდეს, პრაქტიკაში რთულია. შესაბამისად, ავტორის უარმა არ უნდა შელახოს გამოხატვის თავისუფლებისა და შემოქმედების თავისუფლების სტანდარტი. ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვისა თუ გაანალიზების პროცესში დგინდება ნაწარმოების გამოყენების კეთილსინდისიერება, ბალანსი ავტორის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. სამართლის ორივე სისტემას შემოთავაზებული აქვს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ამარტივებს საკითხის გადაწყვეტას და ერთგვარი დამაბალანსებელი ინსტრუმენტია. მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლებათა ზოგადი საზღვრები ძირითადად განსაზღვრავს ექსკლუზიურ უფლებებს, დაცვის ფარგლებსა და ხანგრძლივობას, კანონით დადგენილი შეზღუდვები და გამონაკლისები ითვალისწინებენ კონკრეტული ქვეყნის მრავალფეროვან კულტურულ, სოციალურ, ინფორმაციულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საჭიროებებსა და მიზნებს. მაგალითად, „ორიგინალურობის“ ცნება, იდეასა და გამოხატვას შორის დიქოტომია, სასამართლოებს აძლევს დისკრეციას, თავად გადაწყვიტონ, რა არის საავტორო უფლებით დაცული და რა არა. ამავე პრინციპით, კანონმდებლობა უნდა უტოვებდეს სასამართლოს შესაძლებლობას, დაადგინოს „გამოყენების კეთილსინდისიერების“ ფარგლები გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით.

³⁰ Ruth L., Copyright Law in an Age of Limitations and Exceptions, Flexible Copyright: Can the EU Author's Rights Accommodate Fair Use?, Cambridge University Press, 2017, 278-285.